

06/08/2025



MES 9 25 0000955503

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 24 ივლისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;

ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;

გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;

ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;

ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;

გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;

ანა აროშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ლევან მადათოვი

მანანა მოისწრაფიშვილი

ბექარ კილასონია

ირმა ღარიბაშვილი

საბა მოდებაძე

ალექსანდრე კეკენაძე

ნინო გზირიშვილი

ნანა შარაბიძე

სალომე გოგიაშვილი

ნინო ქიტიაშვილი

ირმა ღარიბაშვილი

გიული გურგენიძე

ხათუნა ფარეიშვილი

იაზონ დანელია

ქეთევან ჭუჭულაშვილი

ნინო რამიშვილი

ირმა არსენაშვილი

თამარ ახალაძე

ხათუნა ფარეიშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "სპექტრი"

დირექტორის მოადგილე - ვარლამ ავალიშვილი

დირექტორის მოადგილე - თეიმურაზ მაჩაიძე

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი თამარ ხატიაშვილი

სსიპ კოლეჯი "ლაკადა"

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - თეანა ქუხილავა

ხარისხის მართვის მენეჯერი - თამარ მანია

ა(ა)იპ კოლეჯი განთიადი

კოლეჯის დირექტორი - ანა დათუაშვილი

დირექტორის მოადგილე - კახაბერ კახიაშვილი

ხარისხის მართვის მენეჯერი - ლელა სამხარაძე

კოლეჯის იურისტი - ნათია გოგინაშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯის "სპექტრი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯის "ლაკადა" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ კოლეჯი განთიადის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯის "სპექტრი" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 05 მაისის ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 13-16 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ „სპექტრში“ (ქ. თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქ. №10) დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, დამსაქმებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. დათვალიერებულ იქნა მატერიალური რესურსები. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. სსიპ კოლეჯ „სპექტრს“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 30 ივლისის №145 გადაწყვეტილებით, 2019 წლის 29 აგვისტოდან 6 წლის ვადით. განმეორებითი ავტორიზაციის ეტაპზე კოლეჯს წარმოდგენილი აქვს 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №111/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „სპექტრის“ წესდების მე-2 მუხლის 21 პუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2025 წლის 13 თებერვლის MES 3 25 0000148792 წინასწარი წერილობითი თანხმობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალისა და განხორციელების ფორმის მითითებით.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- 2023 წელს კოლეჯ „სპექტრს“ გადაეცა საქართველოს პარლამენტის სპეციალური ჯილდო, ინკლუზიური პროფესიული განათლების ხელშეწყობისთვის.
- ახლახან კოლეჯმა გაიმარჯვა უნარების სააგენტოს კონკურსში და დაიწყო არაფორმალური საგანმანათლებლო კურსის განხორციელება. კოლეჯის უახლოეს გეგმაშია სპორტული მოედნების მოწყობა და სტუდენტური თამაშების ორგანიზება. ასევე, კოლეჯის ინიციატივით ხდება სტუდენტური თვითმმართველობის ჩამოყალიბებისათვის გარკვეული საქმიანობების ორგანიზება, შემუშავებულია პროექტი, რომელმაც ასევე გაიმარჯვა უნარების სააგენტოს კონკურსში და რომლის განხორციელებაც

უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობისა და სტუდენტური ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობას. სტუდენტები ასევე ჩაერთვებიან ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

Front-end დეველოპმენტი

2.2.1.2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა.

2.2.1.3 კოლეჯის მიერ განსაზღვრულ პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა.

2.4.1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას არ არის დაცული სარეკომენდაციო მიმდევრობა, კონკრეტულად მოდული „ვებ გვერდის ოპტიმიზაცია“ არ უნდა იწყებოდეს სწავლის დაწყებისთანავე. წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა.

კომპიუტერული ქსელი და სისტემები

2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად ვერ მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით, კოლეჯს არ აქვს ადგილზე კომპუტატორი, მარშუტიზატორი, ანტისტატიკური ხალიჩა და სამაჯური, დამცავი სათვალე, და სხვა ის მინიმალური სარეკომენდაციო აღჭურვილობა რომელიც საჭიროა დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის. წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა.

საავტომობილო გზების მშენებლობა

2.2.1.1 დაწესებულებას სრულყოფილად არ აქვს შეძენილი პროგრამით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა. ვიზიტისას გადამოწმდა აღნიშნული რესურსი. კოლეჯს განსაზღვრული აქვს, თუ რა მატერიალური რესურსი უნდა გამოიყენოს კომპანიებში ვიზიტისას. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ტენდერი ჰქონდათ გამოცხადებული პოლიგონის მოწყობაზე, მაგრამ ორ შემთხვევაში ტენდერი ვერ შედგა. მიმდინარე ეტაპზე გამოცხადებულია ახალი ტენდერი, თუმცა ვიზიტის პერიოდისთვის გადაწყვეტილება არ არის მიღებული. წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია შეასრულოს სამუშაოები შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

4.1.2.3 მიზანშეწონილია გადახედილ იქნას პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები, რომელიც უფრო მეტად უნდა მოერგოს პროფესიული განათლების სპეციფიკას, სადაც შესაძლებელია, მინიმალურ განათლებად მოთხოვნილ იქნას პროფესიული განათლება.

5.1.1.5 შრომის უსაფრთხოებას კოლეჯში ითავსებს 3 პირი, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო სერტიფიკატი, მათ მიერ გაწეული სამუშაოები თანხვედრაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან, თუმცა, ავტორიზაციის ექსპერტებს, მაინც სასურველად მიაჩნიათ, რომ დაწესებულებაში ცალკე იქნას აყვანილი (და არა შეთავსებით) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რაც უფრო სანდოს და ეფექტურს გახდის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და აქტივობების გატარებას კოლეჯში.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ამრიგად, დასკვნის პროექტის ეტაპზე არსებული ხარვეზები, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულ იქნა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტს“ გასწორებულია „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის. კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი (01.19.23.009.061) და კოლეჯის შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზები, რომელიც განთავსებულია ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ქ. №10 საერთო ფართობით 33872 კვ. მ. კოლეჯის სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს შესაბამისი სამსახური. კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია ტარდება პერიოდულად, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. კოლეჯის ძირითადი - ადმინისტრაციული და სასწავლო კორპუსები 6379,25 კვ.მ ფართისაა, ხოლო კოლეჯის „D“ კორპუსი 2920,81 კვ.მ ფართის, კოლეჯის „B“ კორპუსი კი 306.05 კვ.მ ფართის. დაწესებულების სასწავლო კორპუსებსა და სახელოსნოების ნაგებობებში განთავსებულია შემდეგი სივრცეები: ფოიეები, 47 სასწავლო აუდიტორია A ან AC, 11 B გარემო და 7 C გარემო. ადმინისტრაციული პერსონალისთვის გამოყოფილი 18 სამუშაო ოთახი, ბიბლიოთეკა შესაბამისი სამკითხველო სივრცით, არქივი, მედდის, დაცვის, პროგრამის განმახორციელებლების სამუშაო სივრცეები, სტუდენტური თვითმმართველობის, სათავსოები, საერთო საცხოვრებლის 2 ფართი, სარეკრეაციო სივრცეები, სანიტარული კვანძები, რომელთა შორის არის ადაპტირებული საპირფარეშოები სსსმ/შშმ პირთა საჭიროებისთვის. სასწავლო მიზნებისთვის კოლეჯში მოწყობილია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფილი სახელოსნოები ელექტრიკოსებისთვის, ხის მხატვრული დამუშავებისთვის, მეთუნეობისთვის, ავტო-ხელოსნებისთვის, შემდუღებლებისთვის, სანტექნიკოსებისთვის, მეფილეებისთვის, სამღებრო სამუშაოებისთვის, სადურგლო საქმისთვის, რკინა-ბეტონის სამუშაოების წარმოებისთვის, თაბაშირ-მუყაოს სამუშაოთა შესრულებისთვის და სხვა ისეთი კაბინეტები, როგორებიცაა მიკრობიოლოგიის, სასურსათო პროდუქტების, შრომის უსაფრთხოების, ტოპოგრაფიის, საგზაო მშენებლობისა და სხვ. ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით. მატერიალური რესურსების მართვა/შეფასება კოლეჯში რეგულარულად ხორციელდება 2025 წლის 14 მაისის N57-ა ბრძანებით (ცვლილებამდე N67-ა 01.09.2020) დამტკიცებული „სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ მატერიალური რესურსებისა და მასალა-ნედლეულის განკარგვის, შენახვის, გამოყენების, ჩამოწერის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და უტილიზაციის წესის“ შესაბამისად. დაწესებულებამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის N15-ა ბრძანებით შექმნილი ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ კომისიის სხდომის ოქმი N1, რაც შესწავლილი იქნა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა, ასევე, ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომლებთანაც განხილული იქნა კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკმარისობა და

შესაბამისობა მათ მიერ განსახორციელებელ საქმიანობასთან მიმართებაში. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულებაში მოქმედებს „სსიპ კოლეჯში „სპექტრი“ მატერიალური რესურსებისა და მასალა-ნედლეულის განკარგვის, შენახვის, გამოყენების, ჩამოწერის, სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და უტილიზაციის წესი“ რომლის შესაბამისად ხდება კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობა, კერძოდ, ამ დოკუმენტის მიხედვით პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია გამოიყენოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები და სასწავლო რესურსები, რომელიც საჭიროა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. მათ ასევე უფლება აქვთ ისარგებლონ კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, ლაბორატორიით უსაფრთხოების წესების დაცვით, საბიბლიოთეკო რესურსებით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ მიხედვით, შესვენების პერიოდში კოლეჯის ფოიეთი, სველი წერტილებით, სარეკრეაციო სივრცეებით შესაბამისად, ამ წესის მიხედვით კოლეჯის სასწავლო თუ დამხმარე ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა, შიდა სივრცეში განთავსებულია მოსასვენებელი ადგილები, კოლეჯის ეზო, რომელიც განკუთვნილია, როგორც დასვენებისთვის, ასევე თავშეყრისთვის შეუზღუდავადაა ხელმისაწვდომი პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა, რომლის შეფასების შედეგად კოლეჯის საერთო სარგებლობის სივრცეები: სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, მათ შორის მატერიალური რესურსი, ხელმისაწვდომია და საკმარისია სასწავლო გარემოს სრულყოფისათვის.

ექსპერტის განცხადებით, როგორც შესწავლილი დოკუმენტებიდან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთი გაირკვა, კოლეჯში, რაოდენობრივი კვლევასთან ერთად ხდება პროცესზე დაკვირვება. ხარისხის მართვის მენეჯერის გარდა კვლევაში შეიძლება ჩაერთოს სასწავლო პროცესის მენეჯერი, IT სპეციალისტი, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ კვლევას და შეფასებას. ძირითადად კოლეჯის მიერ თვითშეფასებაში წარმოდგენილია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების და საჭიროების კვლევის შედეგები. საზოგადოებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მონიტორინგის შედეგები, პროფესიულ მასწავლებელთა საჭიროების კვლევა და სხვა, ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი უკუკავშირი, მათ შორის დაწესებულების ფეისბუქ-გვერდზე სხვადასხვა აქტივობების შეფასებები, კომენტარები, წერილები დაწესებულების მიერ გამოიყენება მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაწესებულების მატერიალური რესურსების, IT ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის. რესურსების შემოწმება ხდება ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. საზოგადოდ, ყველა კვლევის შედეგი აკუმულირდება ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირთან და ანალიზის შედეგების საფუძველზე ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად დგება კონკრეტული საჭიროებისათვის განვითარების სამოქმედო გეგმა , დაწესებულება უზრუნველყოფს მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში უსაფრთხოების ზომების დაცვას. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულებაში გამოიყენება სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შესაბამისი ჯგუფების (პროფესიული სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირება. კოლეჯში მოქმედებს

„საქმისწარმოების წესი“, რომლის მიხედვით საქმისმწარმოებელი აწარმოებს საქმიანობას, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის WWW.EFLOW.EMIS.GE-ს საშუალებით.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ კოლეჯ „სპექტრის“ ადმინისტრაციული პერსონალის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ანალიზის მიხედვით ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დადასტურდა, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კოლეჯის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ამ გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარების, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. კოლეჯის პროგრამების განხორციელება ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსებით, თუმცა, მათ გააჩნიათ შემოსავლების სხვა წყაროებიც. კერძოდ სასერტიფიკატო პროგრამებიდან და სხვა პროექტებიდან. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების, ხარჯების ნაწილისგან და პროგრამული ხარჯისგან. ბიუჯეტი ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების შესახებ. ასევე, მასში გამოყოფილია პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების ხარჯები, ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსის/სასწავლო მასალის გაუმჯობესების ხარჯები, შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების, ვერიფიკაციის, სტუდენტური სერვისების, პროგრამების განვითარების/მომზადების/დამატების ხარჯები და სხვ. დაწესებულება აანალიზებს რა წინა წლის ხარჯვით ნაწილს, შემდეგი წლის საჭიროებებს, ადგენს სამოქმედო გეგმას და შესაბამისად განსაზღვრავს შესყიდვების გეგმასა და ბიუჯეტს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი არიან დაწესებულების საფინანსო მიმართულების თანამშრომლებიც. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმები, რომლებშიც დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის საჭირო აქტივობებისთვის საჭიროების შემთხვევაში მითითებულია მათი შესრულებისათვის საჭირო ფინანსური რესურსი. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციასთან და ფინანსურ მენეჯერთან, რომლებმაც დაადასტურეს ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხების საკმარისობა დაგეგმილი აქტივობებისა და სამუშაოების წარმართვისთვის. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“

ექსპერტის განცხადებით, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია B და C გარემო. 2 აუდიტორია, ერთი ფართი 45 მ² სახელოსნო. მეორეს - ფართი 65 მ² კომპიუტერული კლასი. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა თითოეულ აუდიტორიაში არის 15, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს $15 \times 2 = 30$ პროფესიული სტუდენტი გაზაფხულის და შემოდგომის მიღება. აუდიტორია (კომპიუტერული კლასი) აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის 16ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. აუდიტორია (სახელოსნო) აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის -1 და პროფესიული სტუდენტებისთვის 8 ერთეული; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა

რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას შეძენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა: ტოპოგრაფიული სამუშაოების შესასრულებელი აპარატურა და დამხმარე ინვენტარი, ტოპოგრაფიული რუკები როგორც ფიზიკური ისე ციფრული სახით და სხვა, ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი დანართით განსაზღვრული საგნები. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ავტორიზაციის ვადით შემდეგ პარტნიორთან მოთხოვნილი კვოტის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტის გავლის პირობით შპს „კირკიტამე და კომპანია“. უნდა შევნიშნოთ, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს ამ ხელშეკრულებებით საწარმოო პრაქტიკის განხორციელებას, თუმცა მოდულის გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში ხდება ვიზიტი პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით. პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად სრულიად საკმარისია კოლეჯის მიერ შეძენილი აღჭურვილობის ხარისხი, ტექნიკური პარამეტრები და რაოდენობა. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება ღია საველე გარემოში. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების გარემოსა და მატერიალური რესურსების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამაზე 30-30 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობით გაზაფხულის და შემოდგომის მიღება. აღნიშნული პროგრამა მიმდინარეა, მასზე არის ჩარიცხული სტუდენტები და ჰყავს კურსდამთავრებულები, შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკული კომპონენტისა და თეორიული სწავლების ხარისხიანი გავლის შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 11 მასწავლებელი, აქედან 9 განახორციელებს ზოგად, ხოლო 2 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 11/60. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პერსონალი. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს განაახლოს და შეავსოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი კვალიფიციური პირებით, ვინაიდან, საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა სიამ პროგრამის განხორციელების პერიოდში განიცადა ცვლილება, სხვადასხვა ფაქტორის გამო: კადრების გადინება პროფესიულ განათლებაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, და კადრების გაახალგაზრდავების მიზნით. ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“

ექსპერტის განცხადებით, სახვითი ხელოვნების სპეციალისტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ზესარიონ ჭიჭინაძის №10-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია 3 C , 1 B და 1 A გარემო. ძირითადი პრაქტიკული მოდულები: გაცნობითი პრაქტიკა - სახვითი ხელოვნება; კომპოზიციის საფუძვლები; ხატვა სახვითი ხელოვნებისთვის; ფერწერა სახვითი ხელოვნებისთვის; ძერწვა სახვითი ხელოვნებისთვის; ხაზვა სახვითი ხელოვნებისთვის; კედლის მოხატვა; დეკორაციის დამზადება; არქიტექტურული დეტალების დამზადება; ხატისა და ფრესკის შესრულება და პრაქტიკული პროექტი - სახვით ხელოვნებაში ხორციელდება დაწესებულების მე-3 სართულზე 304 პრაქტიკის (სახელოსნო) აუდიტორიაში. მოდული: დეკორაციისათვის საჭირო გრაფირება რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენებით ხორციელდება დაწესებულების პირველ სართულზე (ფაბლაბის) სახელოსნოში. მოდული: ინფორმაციული წიგნიერება 1; საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD-1 (2D LT) სახვითი ხელოვნებისთვის და საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCAD - 2 (3D მოდელირება) სახვითი ხელოვნებისთვის ხორციელდება დაწესებულების მე-4 სართულზე (ინფორმაციული ტექნოლოგიების) აუდიტორიაში. მოდული: ხელოვნების ისტორიის საფუძვლები და ზოგადი მოდულები ხორციელდება დაწესებულების A გარემოს აუდიტორიაში. ინტეგრირებული სწავლისათვის საჭირო მოდულებიც ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა არის თითოეულ აუდიტორიაში 15, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს $15 \times 2 = 30$ პროფესიული სტუდენტი გაზაფხულის და შემოდგომის მიღება. აუდიტორია (ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპიუტერული კლასი) აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის 16ც; მონიტორი - 1ც; დაფა - 1ც; ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. აუდიტორია (ძირითადი სახელოსნო) აღჭურვილია სპეციალური ინვენტარით - მოლბერტები, ტუმბოები, დაფის სადგამები, ნატურმორტის დასადები მაგიდა, სახატავი დაფები, გამოსადერწად მაგიდები პროფესიული სტუდენტისთვის, კარადები როგორც ღია, ასევე დახურული რესურსებისთვის და ნამუშევრების შესანახად. დაწესებულებას შეძენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა: თაბაშირის გეომეტრიული სხეულები (სხვადასხვა სახეობა), სახაზავები, სათლელები, თაბაშირის ორნამენტები, თაბაშირის ფიგურები, ნატურმორტის თიხის ჭურჭელი, ასაზომი მექანიკური ხელსაწყო/სანტიმეტრი, ფარგლების კომპლექტი, რეიშინა, დამცავი სათვალე, მაკრატლები, სახაზავები, სათლი, კუთხის საჭრელი ხერხი, რევერსიული სახრახნისი, ბეწვა ხერხი „ლოზიკი“ პირებით, სამერწი ხელსაწყოები, ჰერმეტიკის პისტოლეტი, მრჩილავი, ქლიბების ნაკრები, პატარა ჩაქუჩი, საკანცელარიო დანა, ხრახნიანი ჩამჭერი, ცხელი სილიკონის პისტოლეტი, შვეული, მეტალის სახაზავი, ბორმანქანა, მაკრატელი მეტალისთვის. აუდიტორია (ფაბლაბის სახელოსნო) აღჭურვილია სპეციალური ინვენტარით - რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხი (CNC Router), რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხი (ლაზერული გრაფირების ჩარხი - “EPILOG Legend 36 EXT”) და კომპიუტერი გრაფიკული პროგრამებით (მონიტორი პროცესორით) corel draw-ში ნაკეთობისთვის ესკიზის შესასრულებლად. პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად სრულიად საკმარისია კოლეჯის მიერ შეძენილი აღჭურვილობის ხარისხი, ტექნიკური პარამეტრები და რაოდენობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულების გარემოსა და მატერიალური რესურსების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამაზე

30-30 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობით გაზაფხულის და შემოდგომის მიღება. აღნიშნული პროგრამა მიმდინარეა, მასზე არის ჩარიცხული სტუდენტები და ჰყავს კურსდამთავრებულები, შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკული კომპონენტისა და თეორიული სწავლების ხარისხიანი გავლის შესახებ ინფორმაცია. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. 2. არაინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 14 მასწავლებელი, აქედან 9 განახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 5 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 14/60. ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 24 მასწავლებელი, აქედან 9 განახორციელებს ზოგად მოდულებს, 10 ინტეგრირებულ მოდულებს, ხოლო 5 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 24/60. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი პერსონალი. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს განახლების და შეავსოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი კვალიფიციური პირებით, ვინაიდან, საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებელთა სიამ პროგრამის განხორციელების პერიოდში განიცადა ცვლილება, სხვადასხვა ფაქტორის გამო: კადრების გადინება პროფესიულ განათლებაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, და კადრების გაახალგაზრდავების მიზნით. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“

ექსპერტის განცხადებით, „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება“ ხორციელდება რეალური სამუშაო გარემოში დუალური სწავლების ფორმით. პროგრამაში განსაზღვრულია ის მოდულები, რომელთა სწავლებაც განხორციელდება რეალურ სამუშაო სივრცეში. აღნიშნული მოდულებია: - საყალიბე სისტემების მონტაჟი და დემონტაჟი (განყალიბება) (300 სთ - სამუშაო გარემოში), რკინაბეტონის კონსტრუქციების არმირება (275 სთ - სამუშაო გარემოში), ბეტონის ნარევის ჩაწყობა და მოვლა (300 სთ- სამუშაო გარემოში), ბეტონის იატაკების მოწყობა (275 სთ-სამუშაო გარემოში), რკინაბეტონის სამუშაოების შემსრულებელთა მუშათა რგოლის (მცირე სამუშაო ჯგუფი) ზედამხედველობა (75

სთ- სამუშაო გარემოში). კოლეჯში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა თითოეულ აუდიტორიაში არის 15, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 10 პროფესიული სტუდენტი. აუდიტორია (კომპიუტერული კლასი) აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის 16 ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. აუდიტორია (სახელოსნო) აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. დაწესებულების გარემოსა და მატერიალური რესურსების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობით. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსითა და რეალურ სამუშაო სივრცეში, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 12 მასწავლებელი. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 12/10. დაწესებულებას შეძენილი აქვს პროგრამით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა. ვიზიტისას გადამოწმდა აღნიშნული რესურსი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ კომპანიასთან - შპს “ინსი”. პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად სრულიად საკმარისია კოლეჯის მიერ შეძენილი აღჭურვილობის ხარისხი, ტექნიკური პარამეტრები და რაოდენობა. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება ღია საველე გარემოში. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საავტომობილო გზების მშენებლობა“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“ ხორციელდება კოლეჯში. კოლეჯში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა თითოეულ აუდიტორიაში არის 15, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 15 პროფესიული სტუდენტი. აუდიტორია (კომპიუტერული კლასი) აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის

კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის 16 ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას სრულყოფილად არ აქვს შეძენილი პროგრამით განსაზღვრული მატერიალური აღჭურვილობა. ვიზიტისას გადამოწმდა აღნიშნული რესურსი. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ კომპანიებთან - შპს “ესტაკადა 2020”, შპს “ტესენ ქონსტრაქშენი”, შპს “აბსოლუტ სერვისი”, შპს „ ფლორმასტერი“. კოლეჯს განსაზღვრული აქვს, თუ რა მატერიალური რესურსი უნდა გამოიყენოს კომპანიებში ვიზიტისას. ინტერვიუებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ტენდერი ჰქონდათ გამოცხადებული პოლიგონის მოწყობაზე, მაგრამ ორ შემთხვევაში ჩაუვარდათ ტენდერი. მიმდინარე ეტაპზე გამოაცხადეს ახალი ტენდერი, თუმცა პასუხი ჯერ არ იყო ცნობილი ვიზიტისას. აღნიშნული შედეგად, დადგინდა ხარვეზი. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული. 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 9 მასწავლებელი. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 9/15. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტი“

ექსპერტის განცხადებით, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი - ფიზიკური ფაქტორების მზომი ხელსაწყოები, იდს, ცეცხლმაქრები და სხვ. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა თითოეულ აუდიტორიაში არის 15, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს $30 \times 2 = 60$ პროფესიული სტუდენტი. პროგრამაზე სწავლება 2 წლიანია. პირველ წელს მიიღებენ $15 \times 2 = 30$ პროფესიულ სტუდენტს (გაზაფხულის და შემოდგომის მიღება), მეორე წელს $15 \times 2 = 30$. აუდიტორია (კომპიუტერული კლასი) აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის 16 ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. C გარემო აღჭურვილია ინვენტარით. მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის -1. მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ავტორიზაციის ვადით შემდეგ პარტნიორებთან მოთხოვნილი კვოტის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტის გავლის პირობით შპს „შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის ჯგუფი“, შპს “ სეიფთი მენეჯმენტ გრუპ“,

შპს “კოსი-კონცეპტ ოფ სეიფთი”, შპს “საქართველოს შრომის უსაფრთხოების ინსტიტუტი”, შპს “წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო”, შპს “ადლი”, შპს “ჰესპია პლიუსი”. საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში ხდება ვიზიტი პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება ღია საველე გარემოში. საწარმოო პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით განხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა შედეგებზე გასვლა. აღნიშნული პროგრამა მიმდინარეა, მასზე არის ჩარიცხული სტუდენტები. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით და ასევე პარტნიორ კომპანიაში არსებული მატერიალური რესურსით საწარმოო პრაქტიკის მოდულის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, ინდიკატორის 2.2.1.1 მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 14 მასწავლებელი, აქედან 10 განახორციელებს ზოგად, ხოლო 4 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 14/60. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „შედულება“

ექსპერტის განცხადებით, „შედულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა თითოეულ აუდიტორიაში არის 15, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 120 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 30 ინტეგრირებული გეგმით. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა მიღება განხორციელდება გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ინტეგრირებული შემთხვევაში 2 წლის განმავლობაში, ასეთივე მიდგომით განხორციელდება არაინტეგრირებული შემთხვევაში. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. აუდიტორია (კომპიუტერული კლასი) აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის 16 ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. C გარემო აღჭურვილია ინვენტარით. მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის -1. მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. პროგრამის ფარგლებში

საგანმანათლებლო დაწესებულებას ურთიერთშეთანხმების მეშვეობით აქვს გაფორმებული კომპანიასთან - შპს "ხალიბის რკინა". პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული პროგრამა მიმდინარეობს, მასზე არის ჩარიცხული სტუდენტები. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 23 მასწავლებელი, აქედან 10 განახორციელებს ინტეგრირებულ მოდულებს, 10 მასწავლებელი განახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 4 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 23/120. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტრობა“

ექსპერტის განცხადებით, „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქ. თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის №10-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა თითოეულ აუდიტორიაში არის 15, მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე მაქსიმუმ 40. დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე, სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრული აქვს 120 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 30 ინტეგრირებული გეგმით. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა მიღება განხორციელდება გაზაფხულზე და შემოდგომაზე. ინტეგრირებული შემთხვევაში 2 წლის განმავლობაში, ასეთივე მიდგომით განხორციელდება არაინტეგრირებული შემთხვევაში. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. აუდიტორია (კომპიუტერული კლასი) აღჭურვილია ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლისა და პროფესიული სტუდენტებისთვის 16 ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. C გარემო აღჭურვილია ინვენტარით. მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის -1. მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსით. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 23 მასწავლებელი, აქედან 10 განახორციელებს ინტეგრირებულ მოდულებს, 10 მასწავლებელი განახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 4 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს.

პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 23/120. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია პროგრამისათვის აუცილებელი სასწავლო გარემოსათვის საჭირო მატერიალური რესურსი (დანართი 4.), რომლითაც დასტურდება ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით და ადგილზე დათვალიერებით. დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 11 მასწავლებელი, აქედან 9 განახორციელებს ზოგად, ხოლო 2 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდებაა 11/60. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის ფარგლებში მოდულის საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით დაწესებულებას პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ხელშეკრულებები 30-30 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიღებისთვის მოდულისთვის „გაცნობითი პრაქტიკა“ ავტორიზაციის ვადით, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის ერთ-ერთი საფუძველია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 60 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ორი აუდიტორია, სადაც პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი ასევე აუდიტორიაში არის ციფრული დემონსტრირების საშუალება, დაფა, 15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის, 15 კომპიუტერი და პრინტერი. Front-end დეველოპმენტი“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 2 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პირადი საქმეების შემოწმების და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დარგობრივი პროფესიული მასწავლებლები ამ ეტაპზე სრულად ვერ ფლობენ იმ ტექნოლოგიებს რომლებიც მითითებულია პროგრამაში და მოდულებში. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა, მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ დარგობრივი პროფესიული განათლების მასწავლებელს არ აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია რაც დადასტურდა მათან გასაუბრების დროს, ისინი ამ ეტაპზე სრულად არ ფლობენ იმ ტექნოლოგიების რომელიც არის პროგრამაში და მოდულებში მითითებული. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს არ აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დოკუმენტაციის შესწავლის, ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს არ აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია . წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, ინდიკატორის 2.2.1.3 მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ განსაზღვრულ პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გაესაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის მიერ განსაზღვრულ პროგრამის ხელმძღვანელს არ აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. ამრიგად, ინდიკატორის 2.2.1.4 მოთხოვნა ექსპერტთა შეფასებით მეტწილად არის დაკმაყოფილებული. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს, ვინაიდან სრულად ხორციელდება იმიტირებულ გარემოში აღნიშნულით დასტურდება კოლეჯის თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად ვერ მიიღწევა კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება - 60 პროფესიული სტუდენტით (2 ცვლაში). საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ორი აუდიტორია სადაც პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ასევე აუდიტორიაში არის ციფრული დემონსტრირების საშუალება, დაფა, 15 სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის, 15 კომპიუტერი, კარადა სადაც განთავსებულია დარგობრივი მოდულისთვის საჭირო აღჭურვილობის ნაწილი,

კოლეჯს არ აქვს ადგილზე კომპუტატორი, მარშუტიზატორი, ანტისტატიკური ხალიჩა და სამაჯური, დამცავი სათვალე, და სხვა ის მინიმალური სარეკომენდაციო აღჭურვილობა რომელიც საჭიროა დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის. წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. ექსპერტთა შეფასებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად არის უზრუნველყოფილი დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად, 2.2.1.2 მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 2 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი. პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამა არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს, ვინაიდან სრულად ხორციელდება იმიტირებულ გარემოში.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა კითხვით განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კონკრეტულად საკვალიფიკაციო მოთხოვნების თაობაზე, აღნიშნული რეკომენდაცია ზოგად მიდგომაზე დაფუძნებულ პრაქტიკას ეხებოდა, თუ კონკრეტულ შემთხვევებს შეეხებოდა.

ექსპერტის განმარტებით, კოლეჯში შეუსაბამობა დაკავებულ პოზიციასა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს შორის არ დაფიქსირებულა, იყო ცალკეული შემთხვევები, როცა, მაგალითად, ტექნიკურ პოზიციებზე დასაქმებულები იყვნენ უმაღლესი განათლების მქონე პირები და საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც მათი შესაბამისი იყო. რაც არ მივიჩნიეთ რელევანტურად და გავეცით განმავითარებელი რეკომენდაცია.

საბჭო სთავმჯდომარემ განმავითარებელი რეკომენდაციის თაობაზე დამატებითი დასვა შეკითხვა: კერძოდ, კანონის მიხედვით შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ცალკე შტატის არსებობა სავალდებულო არ არის, თუმცა დაინტერესდა, ვინ ასრულებს დაწესებულებაში ამ ფუნქციებს და რატომ იყო გაცემული რეკომენდაცია.

ექსპერტებმა განმარტეს, რომ საკითხი უკავშირდებოდა შრომის უსაფრთხოების ფუნქციის დაკისრებას ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი მოთხოვნა, ყოველ 100 პირზე 2 სპეციალისტის არსებობა, დაცულია, აღმოჩნდა, რომ აღნიშნული პირები ასრულებდნენ აღნიშნულ ფუნქციას დამატებით პასუხისმგებლობად, ანაზღაურების გარეშე. შესაბამისად, რეკომენდაცია გაიცა იმგვარად, რომ განსაზღვრული პირი სრულად შეესაბამებოდეს დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეებს და ამასთან, იღებდეს შესაბამის ანაზღაურებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, ჰკითხა, შედგა თუ არა ვიზიტისას შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან და როგორი იყო მათი უკუკავშირი კოლეჯის მიერ განხორციელებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ.

ექსპერტებმა აუპასუხეს, რომ ყველა პროფესიული პროგრამის სტუდენტთან შედგა გასაუბრება და ერთხმად დაადასტურეს, რომ სტუდენტები კმაყოფილები არიან მხარდაჭერი სერვისებით.

სახვითი ხელოვნების სპეციალისტის პროგრამის პრეზენტაციის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის რენტაბელობის ზღვრი, მასწავლებელთა რაოდენობა რამდენად უზრუნველყოფდა პროგრამის მდგრადობას.

ელექტრობის პროგრამის წარდგენისას, საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ჰყავდათ თუ არა სტუდენტები პროგრამაზე ინტეგრირებულ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯს აქვს 4 ინტეგრირებული პროგრამა და მათ შორის ელექტრობის პროგრამაზეც ირიცხებიან სტუდენტები. ამჟამად, მიმდინარეობს მეხუთე პროგრამის დამატება. დირექტორის თქმით, ინტეგრირებული პროგრამები ეფექტურია როგორც კოლეჯისთვის, ასევე ახალგაზრდა და ზრდასრული კონტინგენტისთვის.

Front-end დეველოპმენტის პროგრამის განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, შესაბამებოდა თუ არა შესაბამისობის გეგმა პროგრამის მიზნებს, კერძოდ კომპონენტებს 2.2., 2.3., 2.4., რომელთა შესასრულებლად დაწესებულებას 7 ივლისამდე ჰქონდა ვადა.

ექსპერტმა განმარტა, რომ კოლეჯმა ჩაატარა პროგრამის განმახორციელებელთა კონკურსი და წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ექსპერტებმა შეისწავლეს, თუმცა შეფასება არ შეცვლილა. მისი თქმით, მნიშვნელოვანია ადგილზე ინახოს თუ რამდენად სწორად შესრულდა ყველაფერი.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის განმახორციელებლები არ ფლობდნენ იმ კომპეტენციებს, რომლებიც საჭირო იყო მოდულების სწავლებისთვის.

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების პროგრამის განხილვისას, დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამისთვის საჭირო რესურსები შესაძენია და სტანდარტიც განახლებულია, თუმცა აღჭურვილობა არასაკმარისი იყო ჯერ კიდევ ძველი პროგრამის მიზნებისთვისაც. საბჭოს თავმჯდომარემ განმარტება მოითხოვა კოლეჯის წარმომადგენლებისგან, რატომ დასჭირდა დაწესებულებას მოგვიანებით შესაბამისობის გეგმის შედგენა, რატომ ვერ შეფასდა თვითშეფასების შედეგისას ობიექტურად და კრიტიკულად არსებული მდგომარეობა.

დაწესებულების ხარისხის მენეჯერმა განმარტა, რომ წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ვებტექნოლოგიების პროგრამა და განიხილებოდა, რომ განმახორციელებლების კვალიფიკაცია შესაბამისი იყო. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ახალი სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისთვის ეს საკმარისი აღარ იყო. კოლეჯმა დაუყოვნებლივ გამოაცხადა კონკურსი და აიყვანა კვალიფიკაციური კადრები.

კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღჭურვილობის დაგვიანებული შესყიდვის მიზეზები, ბიუროკრატიული პროცედურებია, რის გამოც ჭიანჭურდება პროცესები. თუმცა, კოლეჯის დირექტორის ინფორმაციით, ყველა მოსამზადებელი სამუშაო დასრულებულია და სწავლის დაწყებამდე სრულად განხორციელდება შესყიდვა. ამასთან, მან საბჭოს მიაწოდა

ინფორმაცია ახალი ინვესტიციის შესახებ, რომლის ფარგლებში მოეწყო სუსტი დენების ლაბორატორია.

საავტომობილო გზების მშენებლობის პროგრამასთან დაკავშირებით, კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს შიდა სივრცის მოწყობა საგზაო მშენებლობის პოლიგონისთვის. გარდა ამისა, კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კომპანიებთან, სადაც შესაძლებელია სტუდენტების წაყვანა. აღნიშნულ ეტაპზე მინიმალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს წევრმა, გოჩაგოგიტიძემკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, განხორციელდა თუ არა ცვლილებები Front-end დეველოპმენტის პროგრამის შინაარსში მასწავლებელთა ჩანაცვლებასთან ერთად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის შინაარსი არ შეცვლილა. მხოლოდ მოხდა კვალიფიციური კადრების დამატება.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, დუალური პროგრამების განხორციელებისას რამდენად იყო თანხვედრაში მთავრობის 416-ე დადგენილებასთან.

ექსპერტმა განმარტა, რომ ყველაფერი სრულ შესაბამისობაში იყო მთავრობის დადგენილებასთან, თუმცა ვიზიტი განხორციელდა მაისში, მანამ, სანამ 416-ე დადგენილებაში შევიდოდა ცვლილებები, მას შემდეგ დაწესებულებას ჰქონდა ვალდებულება აესახა თავის რეგულაციაში განხორციელებული ცვლილებები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მიღევადი პროგრამების ცხრილი არ იყო სრულყოფილი. თუმცა მოგვიანებით ცენტრმა დააზუსტა პროგრამების პარამეტრები დაწესებულებასთან ერთად და ეს ინფორმაცია მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა კომენტარი, რამდენადაც, დასკვნაში სამი პროგრამა - Front-end დეველოპმენტი, კომპიუტერული ქსელი და სისტემები და საავტომობილო გზების მშენებლობა, შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით, საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია ჩაინიშნოს მონიტორინგი, 18 ნოემბერს, ადგილზე ვიზიტით, შემდეგ კომპონენტებში: Front-end დეველოპმენტი - 2.2. და 2.4. კომპონენტი, კომპიუტერული ქსელი და სისტემები - 2.2. კომპონენტი. საავტომობილო გზების მშენებლობა - 2.2. კომპონენტი.

აქვე, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მართალია Front-end დეველოპმენტის განმახორციელებლები უკვე აყვანილი არიან კონკურსით და შეიძლება მხოლოდ დოკუმენტაციის შემოწმებით შემოფარგლულიყო ცენტრი, საბჭოს მიაჩნია, რომ აუცილებლად ადგილზე უნდა მოხდეს ახლად შერჩეულ პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრება ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯის "სპექტრი" ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი :0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "სპექტრი" (ს/კ:208183605) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ კოლეჯს "სპექტრი" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 1). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ კოლეჯში "სპექტრი" პროგრამებზე: „Front-end დეველოპმენტი“ - 2.2. და 2.4. კომპონენტში, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ - 2.2. კომპონენტში და „საავტომობილო გზების მშენებლობა“ - 2.2. კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 18 ნოემბერს.

მეორე საკითხი: სსიპ კოლეჯის "ლაკადა" ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა შარაბიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 14.05.2025 წლის №522085 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯის „ლაკადა“ პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რისთვისაც ჯგუფმა დაგეგმა და განახორციელა ვიზიტი სსიპ კოლეჯში „ლაკადა“ (მის. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქუჩა №2) 2025 წლის 10, 11 და 12 ივნისს (ნანა შარაბიძე, სალომე გოგიაშვილი და ნინო ქიტეიშვილი), დარგის ექსპერტებმა გიული გურგენიძემ და ხათუნა ფარეიშვილმა 10 ივნისს, ირმა ღარიბაშვილმა 11 ივნისს, ხოლო იაზონ დანელიამ და ზაზა პაპიძემ 12 ივნისს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ნანა შარაბიძემ, სალომე გოგიაშვილმა და ნინო ქიტეიშვილმა შეისწავლეს დაწესებულების პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან (I, III, IV, V) შესაბამისობა, პარალელურად დარგის ექსპერტებთან ერთად დაწესებულების შვიდი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობა. ვიზიტის ფარგლებში მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილი სასწავლო და დამხმარე სივრცეების დათვალიერება. ასევე, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. ვიზიტმა თანამშრომლობით, მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. V სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით ლიფტის და სანიტარული კვანძების სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა დასრულდეს 2025 წლის სექტემბერში. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - ლიფტის და სანიტარული კვანძების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში, რათა ხელი არ შეემალოს სასწავლო პროცესის დაწყებას.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით; დაწესებულება ფუნქციონირებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარში, რომელიც მოიცავს სამ სართულიანი შენობას ფართით (1314,14მ²), სადაც განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები, კოლეჯის ადმინისტრაციის ცალკეული კაბინეტები ასევე სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი, მოსასვენებელი სივრცე, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით და სხვა აუცილებელ რესურსებით, რომლებიც აკმაყოფილებენ მოქმედ სტანდარტებს. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ ეს რესურსები იყოს მუდმივად ფუნქციონალური, განახლებადი და ადაპტირებული საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებებზე. პსდ-ს გააჩნია კედლისა და იატაკის სამუშაოების სახელოსნო, ხის მხატვრული დამუშავების და შედუღების სახელოსნოს შენობები, მეხილეობის პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 3603,00კვ.მ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 538,00 კვ.მ. დაწესებულების საერთო სარგებლობის სივრცეებში შედის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზები, დასვენებისა და სამუშაო ზონები, სახელოსნოები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსებით. სტუდენტებს აქვთ

შესაძლებლობა, ისარგებლონ ამ ინფრასტრუქტურით რეგულირებული გრაფიკისა და წესების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მათთვის თანაბარ და შეუფერხებელ ხელმისაწვდომობას. სასწავლო პროცესის უწყვეტობისა და პროფესიულ სტუდენტთათვის/მსმენელთათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულების განკარგულებაშია A, B, C გარემოს აუდიტორიები შესაბამისი აღჭურვილობით და მატერიალური რესურსით. უკლებლივ ყველა პროფესიულ სტუდენტს, აქვთ შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა როგორც სასწავლო მიზნით შეძენილ მატერიალურ ასევე საერთო სარგებლობის სივრცეებში არსებულ მატერიალურ რესურსზე (ბიბლიოთეკა, მოსასვენებელი სივრცე და ა.შ). დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის სამივე სართულზე, ასევე 3 სახელოსნოში მოწყობილია სანიტარული კვანძები. სანიტარული კვანძები რეგულარულად სუფთავდება და საჭირო მასალებით მარაგდება, რათა შეიქმნას კომფორტული და ჰიგიენური გარემო. ვენტილაციისა და განათების სისტემები უზრუნველყოფენ ჰაერის ცვლას და ოპტიმალურ პირობებს სანიტარული სივრცეების გამოყენებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (შშმ) საჭიროებებს – სანიტარული კვანძები ადაპტირებულია მათი გადაადგილებისა და გამოყენების კომფორტისთვის. ყველა პროფესიულ სტუდენტს აქვს შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ამ სივრცეებზე, რაც უზრუნველყოფს თანაბარ და ინკლუზიურ გარემოს. დაწესებულების ინფრასტრუქტურა ამ ეტაპზე საჭიროებს შემდეგ სარეაბილიტაციო სამუშაოებს: ლიფტისა და ლიფტის კონსტრუქციის აღდგენა, შენობის სამივე სართულზე სველი წერტილების რეაბილიტაცია და სანიტარული კვანძების ხელახალი მოწყობა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ მომზადდა ხარჯთ-აღრიცხვა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ნებართვით აღნიშნული სამუშაოები განხორციელდება ვაუჩერის ეკონომიიდან წარმოქმნილი თანხით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის დოკუმენტის საფუძველზე ლიფტისა და ლიფტის კონსტრუქციის აღდგენა, შენობის სამივე სართულზე სველი წერტილების რეაბილიტაცია და სანიტარული კვანძების ხელახალი მოწყობის დასრულება იგეგმება მიმდინარე წლის სექტემბერში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში დაასრულონ სარეაბილიტაციო სამუშაოები, რათა ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესის დაწყებას შესაბამისად, პსდ-ს შენობა-ნაგებობაში ამ ეტაპზე არ არის დასრულებული გამიჯნული სანიტარული კვანძების მოწყობა, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 3 კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ელექტრონული რესურსის შემთხვევაში ლიტერატურის დასახელების გვერდით მითითებული არის „ელექტრონული“ ვერსია, ამასთანავე მასალა ჩაწერილია დისკზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

ექსპერტის განცხადებით, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდის შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც უზრუნველყოფს ვებგვერდის ტექნიკურ და ინფორმაციულ უსაფრთხოებას. ვებგვერდის სტაბილური ფუნქციონირებისა და მონაცემთა დაცულობის მიზნით, ადმინისტრატორი თვეში ერთხელ ახორციელებს სისტემის სტრუქტურულ და ინფორმაციულ ბაზის აქტივაციას. მონაცემთა სარეზერვო (Backup) სისტემა - კოლეჯი პერიოდულად ახორციელებს მნიშვნელოვანი მონაცემების ა სარეზერვო კოპირებას (Backup) გარე მყარ

დისკზე, რათა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას მოხდეს მონაცემთა აღდგენა. პერიოდულად ხორციელდება მოწყობილობების პროგრამული უზრუნველყოფის რეგულარული დაარქივება. რაც უზრუნველყოფს, რომ სისტემის დაზიანების, ვირუსული შეტევის ან მონაცემთა შემთხვევითი წაშლის შემთხვევაში, პირვანდელი კონფიგურაციის აღდგენა შესაძლებელი იყოს. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს; ოფიციალური ვებ-გვერდი lakada.edu.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე ინფორმაციის განთავსება ხორციელდება ქართულ ენაზე. ასევე შესაძლებელია ინფორმაციის განთავსება ინგლისურ ენაზე. ვებ-გვერდზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია სასწავლებლის ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება; დაწესებულების არსებული რესურსი იძლევა იმის საშუალებას, რომ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები და კოლეჯის მიზნები განხორციელდეს ეტაპობრივად. დაწესებულების საოპერაციო ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული პროგრამული დაფინანსებით. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში მიღებული დაფინანსებით. საოპერაციო ხარჯების გაწევა ხორციელდება კანონმდებლობისა და დაწესებულების სააღრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრული წესების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტრობა“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობა“ შემუშავებულია პსდ-ის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. კოლეჯს აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელთა ფართობი შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ ნორმებს. გააჩნია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა. პრაქტიკულ სივრცეებში არის პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები (ცეცხლმაქრით და სხვ.), ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები. C გარემოში არის დამიწების კონტური. მისი ვარგისიანობა დამოწმებულია შესაბამისი დოკუმენტით. ამავე გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულია დიფერენციალური გამთიშველები და სასიგნალო ნათურები. სივრცეების ელექტრომომარაგება ხდება 220ვ 380ვ (3-ფაზა) ელექტრული ქსელით. კოლეჯს თანამშრომლობის მემორანდუმში აქვს გაფორმებული პარტნიორ ორგანიზაციებთან. აღნიშნული ორგანიზაციები მზად არიან მიიღონ სტუდენტები გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში სასწავლო ექსკურსიის ფორმატში. სტუდენტებს საშუალება ექნებათ დააკვირდნენ საწარმოებში მიმდინარე ტექნიკურ პროცესებს. პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეესაბამება პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობებს. კოლეჯი „ლაკადა“ შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრობა“ განხორციელებაში ჩართულია საკმარისი რაოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული მასწავლებლების კვირეული დატვირთვა ოპტიმალურადაა განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების

ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო ექსკურსიებს მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - ელექტრობაში“ ფარგლებში. სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ პარტნიორი ორგანიზაციებია: შ.პ.ს. „ენგურჰესი“, სს „ენერგო-პრო-ჯორჯია“ და შ.პ.ს. „სკურჰესი“. პსდ-ში მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების მიდგომები, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურები. კოლეჯში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება. პსდ-ში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრობის“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მიმდინარეობს C გარემოში, რომელიც მოიცავს ელექტროსამონტაჟო სახელოსნოს; მაღალი ძაბვის ლაბორატორიას; ელექტროტექნიკის ლაბორატორიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საფინანსო სერვისები“

ექსპერტის განცხადებით, საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ. ჯვარი, ყაზბეგის N2-ში. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A და B გარემოები, სადაც განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) . A /B სასწავლო გარემო - შესაბამისად აღჭურვილი და კეთილმოწყობილი აუდიტორია, რომელიც განკუთვნილია პროგრამის „საფინანსო სერვისების“ 15 (ორ ცვლაში 30) პროფესიული სტუდენტზე. აუდიტორიაში განთავსებულია: მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის; კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის 1ც; მონიტორი - 1 ც; დაფა - 1ც; კარადა რესურსებისთვის, ელექტრონული საპრეზენტაციო საშუალებები, კომპიუტერებში ჩატვირთულია შესაბამისი პროგრამა ალტას დემო ვერსია, ფულის ამომცნობ დეტექტორი, ფულის სათვლელი მანქანა, საინკასაციო ჩანთა, თემატური თვალსაჩინოებები, ლუპა, ფულის მულაჟები, შესაფუთი და დასალუქი საშუალებები, ბეჭდები/შტამპები, და ა.შ., რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სს „ლიბერთი ბანკი“ და შპს „გორგიასთან“. სს „ლიბერთი ბანკში“ გათვალისწინებულია მოდული „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისების“ (სწ/შ 2) გატანა. შპს „გორგიასთან“ მოდული „გაცნობითი პრაქტიკა-საფინანსო სერვისები“(სწ/შ 2), მოდული „საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისების“ (სწ/შ 1) და მოდული „სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლის“ (სწ/შ 2, 4)გატანა. საწარმოო პრაქტიკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროფესიული პროგრამის „საფინანსო სერვისების“ პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულია იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც მზადაა გამოყოს ინსტრუქტორ(ებ)ი/კოორდინატორები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას და მხარდაჭერას. პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების

შედეგად დადგინდა, რომ საფინანსო სერვისების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 30 პროფესიული სტუდენტი, ორი ცვლის/მიღების შემთხვევაში 15-15 პროფესიული სტუდენტი). პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას მათ დაადასტურეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ალტას სატესტო პროგრამაში მუშაობის ფაქტები, მოდულის სწავლების დროს სწავლის შედეგების მიხედვით იყენებდნენ სხვადასხვა მატერიალურ რესურს (ფულის ამომცნობ დეტექტორს, ფულის სათვლელ მანქანას, საინკასაციო ჩანთას, ფულის მულაჟებს, შესაფუთ და დასალუქ საშუალებებს, ბეჭდებს/შტამპებს, და ა.შ.). პრაქტიკის ობიექტზე სს „ლიბერთი ბანკში“ ახდენდნენ სხვადასხვა საბანკო ოპერაციების განხორციელებას: მომხმარებლის მიღებას/გადამისამართებას; ანგარიშის გახსნას; გზავნილის მიღება/გაცემას; საკრედიტო ოფიცერთან ერთად სესხის შეფასებას და სხვა. სავაჭრო ობიექტზე მომხმარებლის მიღებას; ფასების კონტროლს; კონსულტაციის გაწევა და სხვა. პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ამ შესაბამისობის დადგენისთვის ასევე კოლეჯის მხრიდან წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, კითხვარი და დადგენილების მოთხოვნის მიხედვით შემუშავებული წესი. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 12 მასწავლებელი, აქედან 8 განახორციელებს ზოგად, ხოლო 3 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“

ექსპერტის განცხადებით, სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სრულად უზრუნველყოფს საკუთარი მატერიალური-ტექნიკური ბაზით. კოლეჯს აქვს შესაბამისი კომპიუტერული ლაბორატორიები, აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით, ქსელური ინფრასტრუქტურითა და პროგრამული უზრუნველყოფით, რაც ქმნის რეალურ სამუშაო გარემოს და ემსახურება პროფესიული უნარების პრაქტიკულ განვითარებას. პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დაკონკრეტებულია რესურსებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის დანართში დეტალურად არის მითითებული A და B სასწავლო გარემო, შესაბამისი აღჭურვილობა და მატერიალური რესურსები, რომლის არსებობაც კოლეჯის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით ფიქსირდება. ამ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე კოლეჯი ახორციელებს „ინფორმაციის ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამას და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას სრულად. აღნიშნული გარემო და რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული განათლების შესაბამის დონეს, რაც პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ზრდის სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობებს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 3 ასწავლის დარგობრივ მოდულებს. მათი რაოდენობა სრულად ფარავს როგორც ზოგად, ასევე სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო

პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. სსიპ კოლეჯი „ლაკადა“ უზრუნველყოფს ინფორმაციის ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამისთვის აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობასა და მიზნობრივ გამოყენებას, რაც სასწავლო პროცესის ხარისხიანი და უწყვეტი განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, სასწავლო საწარმოსთან და თანაგანმახორციელებელ დაწესებულებებთან დამყარებულია ოფიციალური ხელშეკრულებებითა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით. პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ზოგადი და პროფესიული მოდულების სწავლების შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, რასაც უზრუნველყოფს კოლეჯის მაღალი დონის ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამასთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული მემორანდუმების ფარგლებში პროგრამაში გათვალისწინებული მოდულების ფარგლებში რეგულარულად ინერგება მიზნობრივი სასწავლო ექსკურსიები, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების დახვეწასა და ინდუსტრიულ რეალობასთან მჭიდრო კავშირს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; სიპ კოლეჯი „ლაკადა“ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების საშუალებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს აქვს შესაბამისი A და B გარემოს აღჭურვილობა და საჭირო მატერიალური ბაზა, რაც დამტკიცებულია ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს კოლეჯის სათანადო ინვენტარი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდულის — ზოგადი, საერთო სავალდებულო პროფესიული, დარგობრივი და ინტეგრირებული — სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით განსაზღვრულია საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი, პროფესიულ/დარგობრივი, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულები, რომლებსაც ახორციელებენ 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 3 დარგობრივი მოდულის სპეციალისტი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენცია დადასტურდება პროფესიული გამოცდილებით. მისი ფუნქციები მკაფიოდ რეგლამენტირებულია მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან მართვას და ხარისხის კონტროლს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, სასწავლო საწარმოსთან და თანაგანმახორციელებელ დაწესებულებებთან დამყარებულია ოფიციალური ხელშეკრულებებითა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით. პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ზოგადი და პროფესიული მოდულების სწავლების შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, რასაც უზრუნველყოფს კოლეჯის მაღალი დონის ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამასთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული მემორანდუმების ფარგლებში პროგრამაში გათვალისწინებული

მოდულების ფარგლებში რეგულარულად ინერგება მიზნობრივი სასწავლო ექსკურსიები, რაც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული გამოცდილების დახვეწასა და ინდუსტრიულ რეალობასთან მჭიდრო კავშირს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (30 სტუდენტი) გათვალისწინებით. პსდ-ს გააჩნია A, B და C გარემოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საჭირო სასწავლო-საწარმოო რესურსები. კოლეჯი ფლობს აღნიშნულ რესურსებს, რაც დადასტურებულია შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციით. რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს (C გარემო) პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. საწარმოო პრაქტიკის პარტნიორების მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში მიზნად ისახავს ურთიერთთანამშრომლობის გზით, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულების განხორციელებას პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე. პროგრამისათვის განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა. მათი კვირეული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, დარგობრივ მოდულებს ჰყავს მინიმუმ სამი განმახორციელებელი შესაბამისად, სტანდარტის ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. პროგრამისათვის შერჩეულ ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელს გააჩნია პროფესიულ სტუდენტებში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნული კომპეტენცია დადასტურებულია კოლეჯის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და მათი პირადი საქმეების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სამი კომპიუტერი, პრინტერი, ასლგადამღები აპარატი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ელექტრონული რესურსის შემთხვევაში ლიტერატურის დასახელების გვერდით მითითებული არის „ელექტრონული“ ვერსია, ამასთანავე მასალა ჩაწერილია დისკზე. პროგრამა ითვალისწინებს მოდულით საწარმოო პრაქტიკის განხორციელებას, რომელიც პარტნიორ ორგანიზაციის ბაზაზე განხორციელდება. ასევე მოდულის გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში ხდება ვიზიტი პარტნიორ ორგანიზაციაში. რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „იატაკისა და ფილის სამუშაოები“

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაშია „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი. კოლეჯის რესურსი უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის (ორ ცვლაში) მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნების მიღწევისათვის გამოყოფილია “იატაკისა და ფილის სამუშაოების” სასწავლო სახელოსნო. სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით. სახელოსნოში არის კომპიუტერულ ტექნიკასთან და ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა. კომპიუტერული კლასი სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით,

საპრეზენტაციო საშუალებებით და ინტერნეტით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაშია „იატაკისა და ფილის სამუშაოების“ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი. კოლეჯის რესურსი უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის (ორ ცვლაში) მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნების მიღწევისათვის გამოყოფილია “იატაკისა და ფილის სამუშაოების” სასწავლო სახელოსნო. სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით. სახელოსნოში არის კომპიუტერულ ტექნიკასთან და ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა. კომპიუტერული კლასი სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებით და ინტერნეტით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი რომლის დარგობრივი კომპეტენციაა შეესაბამება პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას. პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი სრულად ფარავს პროგრამის მოდულებს. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება შესაძლებელია. ბიბლიოთეკაში განთავსებულია “ბიბლიოთეკის დებულება“ და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ქალაქმშენსერვისი“, რომლის ფარგლებშიც მოახდენს სასწავლო ექსკურსიების მოწყობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)“

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაშია „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)“ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და სასწავლო რესურსი. კოლეჯის რესურსი უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტის (ორ ცვლაში) მიერ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნების მიღწევისათვის გამოყოფილია „კედლის დაფარვის სამუშაოები (სამღებრო სამუშაოების შესრულება)“ სასწავლო სახელოსნო. სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, დანადგარებით, ხელსაწყო-იარაღებით. სახელოსნოში არის კომპიუტერულ ტექნიკასთან და ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა. კომპიუტერული კლასი სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, საპრეზენტაციო საშუალებებით და ინტერნეტით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ. პროგრამის განხორციელებაში

ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 3 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა თავის, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის როლზე და ფუნქცია-მოვალეობებზე. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შ.პ.ს „ოთხო555“, რომლის ფარგლებშიც მოახდენს სასწავლო ექსკურსიების მოწყობას. მემორანდუმით გათვალისწინებული პროფ. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 30.

საბჭო სთავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტის ფარგლებში შესაბამისობის საკითხზე: ექსპერტთა შეფასებით, კომპონენტის ერთ-ერთი ინდიკატორის ფარგლებში მითითებულია მეტწილი შესაბამისობა, რომელიც ითვალისწინებს ლიფტის კონსტრუქციის აღდგენასა და სველი წერტილების მოწყობას. დასკვნაში მითითებულია, რომ სამუშაოები განხორციელდება ვაუჩერის ეკონომიის ფარგლებში. თუმცა, ცნობილია, რომ მსგავსი ხარჯებისთვის საჭირო არის სამინისტროს თანხმობა. თავმჯდომარე დაინტერესდა, წარუდგინა თუ არა კოლეჯმა ექსპერტებს შესაბამისი დოკუმენტაცია — კერძოდ, მიმოწერა და თანხმობის წერილი.

ექსპერტმა განმარტა, რომ შესაბამისობის გეგმის განხილვისას მათ დააფიქსირეს სარემონტო სამუშაოების საჭიროება, თუმცა დოკუმენტურად, სამინისტროს თანხმობა ექსპერტებისთვის არ წარუდგენიათ. ალბათ დაწესებულება თვითონ გააკეთებდა განმარტებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

კოლეჯის დირექტორმა განმარტა, რომ კოლეჯს ინფრასტრუქტურის სააგენტოსგან აქვს შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, ასევე, უკვე აქვთ მიმდინარე წლის მარტში სამინისტროსგან მიღებული თანხმობის წერილი თანხების გამოყენების თაობაზე. ამ დოკუმენტების საფუძველზე შეადგინეს შესაბამისობის გეგმა, გამოაცხადეს ტენდერი, რამაც გამოავლინა ხარვეზები, ცვლილება უნდა შევიდეს ხარჯთაღრიცხვაში, რა პროცესიც ინფრასტრუქტურის სააგენტომ უნდა განახორციელოს, რაც სათუო ვადაში შეიძლება იყოს.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რამდენადაც, ინფრასტრუქტურის სააგენტო 1 სექტემბრიდან უქმდება და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ლიკვიდაციის პროცესი. ამდენად სასურველია, კოლეჯმა საბჭოს მიმდინარეობის პროცესში დააზუსტოს სამინისტროს პროფესიულ დეპარტამენტთან, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს კოლეჯს, რამდენად დასრულდება პროცესი მათ მიერ დაგეგმილ ვადებში.

სამინისტროში ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ სექტემბრამდე ისინი მიიღებენ სააგენტოსგან კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვას, რის შემდეგაც წარიმართება სარემონტო სამუშაოები. სავარაუდოდ, ეს სამუშაოები 2-3 თვე შეიძლება გაგრძელდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი, დაინტერესდა, როგორია კოლეჯის სამომავლო ხედვა და რა მექანიზმებით აპირებს დაწესებულება, რომ 2027 წლისთვის გახდეს ინოვაციური, მოქნილი და გამართული ინფრასტრუქტურის მქონე რეგიონული კოლეჯი.

დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა განმარტა, რომ ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსებში და საგანმანათლებლო ინოვაციების დანერგვა, რაც აძლევს დაწესებულებას ამბიციასა და სტრატეგიულ მიმართულებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ როგორ ხედავს კოლეჯი ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვის საკითხს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯს აქვს თამამი განაცხადი ამ მიმართულებით, არსებობს ხედვა და გეგმები საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დასაწყებად. ისინი ყველაფერს გააკეთებენ მიზნის მისაღწევად.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელი საგანმანათლებლო პროგრამები და რომელი პარტნიორები არიან კოლეჯის ფოკუსში ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიმდინარეობს პარტნიორების მოძიების პროცესი, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სამშენებლო და მოდის ტექნოლოგიის პროგრამებზე.

დარგის ექსპერტმა დაამატა, რომ კოლეჯს უკვე აქვს წარმატებები მოდის ინდუსტრიაში – მათმა სტუდენტებმა წარმატებით იასპარეზეს მოდის კონკურსებში, რაც ამ მიმართულებით ახალგაზრდების მაღალი ინტერესითაც არის გამყარებული.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა დამატებითი კითხვა, რა ვადებში შეიძლება დასრულდეს სარემონტო სამუშაოები. კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 25 ნოემბრისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიზანშეწონილია მონიტორინგი ჩატარდეს ადგილზე ვიზიტით 5.1 კომპონენტის ფარგლებში, 2025 წლის 25 ნოემბერს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯის "ლაკადა" ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "ლაკადა" (ს/კ:24272879) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. სსიპ კოლეჯს "ლაკადა" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 2). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ კოლეჯში "ლაკადა" 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 25 ნოემბერს.

მესამე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯი განთიადის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 6 მაისი №492052 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 28-30 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“, ქ. გორი, ბესიკის ქ. №2, დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან. დათვალიერებულ იქნა მატერიალური რესურსები. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ადმინისტრაციას გააცნო ვიზიტის ძირითადი მიგნებები. ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადს“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოპოვებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №154 გადაწყვეტილებით. ამჟამად კოლეჯი ახორციელებს 12 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

კოლეჯ „განთიადს“ საუკეთესო გამოცდილებად შესაძლოა განისაზღვროს უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობის, როგორც გრძელვადიანი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კუთხით, ასევე მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების კუთხით. შიდა ქართლში მრავალფეროვანი ხეხილის თანამედროვე ჯიშებია გაშენებული, აღნიშნული დარგი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად მუდმივად საჭიროებს ცვლილებებს და ახალი ნოვაციების დანერგვას. შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, კოლეჯი ახორციელებს მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამებს: „ვაშლის, ალუბლის, მსხლის და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“ და „ვაშლის, მსხლის და ბლის ხეების მოვლა (მართვა) თანამედროვე სამრეწველო ბალებში“. პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელია მაღალი კვალიფიკაციის მქონე განმახორციელებელთა მოძიება, რომლის პოვნაც საქართველოში შეუძლებელი აღმოჩნდა. კოლეჯი თანამშრომლობს კომპანიებთან შპს „ბალების მართვის კომპანია“, შპს „ტირიფონის ხილი“. მიუხედავად იმისა რომ პარტნიორი ორგანიზაციები აღჭურვილნი არიან თანამედროვე ტექნიკით, ისინი საჭიროებენ კვალიფიციური სპეციალისტების რჩევებს, გამოცდილებას და თანამედროვე სწავლების მეთოდებს. ამდენად, პროფესიული გადამზადების პროგრამის - „ვაშლის, ალუბლის, მსხლის და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“ კოლეჯმა თურქეთიდან მოიწვია პროგრამის განმახორციელებელი პირი მუსტაფა საქალალდეში, ხოლო პროგრამის „ვაშლის, მსხლის და ბლის ხეების მოვლა (მართვა) თანამედროვე სამრეწველო ბალებში“, კოლეჯმა მოიწვია გერმანელი სპეციალისტი ჰანს იოსეფ ვებერი. ასევე, გერმანელი ექსპერტი ჰყავდა კოლეჯს მოწვეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედულების ფარგლებში. უცხოელი სპეციალისტები პერიოდულად სტუმრობენ კოლეჯს და პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს და მასწავლებლებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებენ.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 5.1.1.1., დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, შესაბამისობა სტანდარტთან ექსპერტთა მიერ შეფასდა, როგორც მეტწილი, ვინაიდან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებას ვადა აქვს 2025 წლის აგვისტომდე, ხოლო ახალი ხელშეკრულების გაფორმების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ამდენად, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2025 წლის აგვისტომდე.

ინდიკატორი 5.2.3.2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, მეტწილ შესაბამისობაშია.

დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს ინგლისურენოვანი ვებგვერდის მომზადება.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 1.2.2.1 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა - პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - პსდ-ს მიერ ანგარიშის, შესრულების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის დოკუმენტირება არ ხდება. შესაბამის ინფორმაციას არ მოიცავს არც შეხვედრის ოქმები. განმავითარებელი რეკომენდაცია: სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს არა მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაციის დოკუმენტირება სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ, არამედ მოახდინოს მისი ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება და შეფასების შესახებ დოკუმენტირებული ინფორმაციის შენახვა. იხ. ინდიკატორის აღწერა.

ინდიკატორი 3.2.2.3. რეკომენდირებულია დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის მესამე სტანდარტის კითხვარში დაამატოს ისეთი კითხვა, რომელიც დაადგენს პროფესიული სტუდენტი არის თუ არა დასაქმებული და თუ დასაქმებულია შეესაბამება თუ არა მისი დასაქმების სფერო პროფესიას. აღნიშნული მონაცემი დაწესებულებას გაუმარტივებს პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების რაოდენობრივი მაჩვენებლის გამოთვლას. (იხ. ინდიკატორის აღწერა).

ინდიკატორი 4.1.2.3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ თანამშრომელთა პირადი საქმეები დააორგანიზოს იმგვარად, რომ შესაბამის პოზიციაზე დანიშნული პირის მხოლოდ ის დოკუმენტები იყოს წარმოდგენილი, რომელსაც ითვალისწინებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. (რამდენიმე ადმინისტრაციული პერსონალის პირად საქმეში გარდა ვადიანი პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტისა, მოცემული იყო ვადაგასული პირადობის მოწმობის ასლიც, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო ისეთი ცნობები, რომელთა წარმოდგენისა და შენახვის აუცილებლობა არ არსებობდა.) ეს გაამარტივებს სამუშაო პროცესის მიმდინარეობას. იხ. ინდიკატორის აღწერა.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯი კეთილმოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, როგორცაა პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფა, ქსელში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი, სათავსოები. ასევე, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებაში მოწყობილია კომპიუტერული კლასები, რომლებიც უზრუნველყოფილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. პროფესიულ სტუდენტებს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული სივრცით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ყველა სასწავლო რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დაწესებულების ადმინისტრაციის ოთახები უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, სამუშაო ინვენტარით, სათავსოებით, ქსეროქსისა და პრინტერის აპარატებით. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის №72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 18.3. პუნქტის შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებს მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით: უსაფრთხო და დაცული საგანმანათლებლო სივრცე, შენობის ნორმალური ტემპერატურით უზრუნველყოფა სეზონების მიხედვით, ბუნებრივი განათებით

უზრუნველყოფილი, მონიტორებით და სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობის მქონე აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური და ელექტრონული რესურსით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, ადაპტირებული გარემო შშმ პირთათვის (პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები), პირველადი სამედიცინო მომსახურება და ა.შ. კოლეჯს ჰყავს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებით განსაზღვრულია, კოლეჯში მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება. მატერიალურ რესურსსა და ინფრასტრუქტურაზე წვდომას ადასტურებენ პსდ-ს მიერ, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის კვლევის მიზნით, ჩატარებული გამოკითხვა. რომლის შედეგებით, მატერიალურ რესურსზე წვდომა, საერთო სივრცეებითა და მატერიალური რესურსით შეუზღუდავ სარგებლობა დადებითადაა შეფასებული. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი რეალურად იყენებენ დაწესებულების ინფრასტრუქტურას, მათ შორის, საერთო სარგებლობის სივრცეებს და მატერიალურ რესურსებს. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის შემუშავება/დანერგვას, დაწესებულების ობიექტზე კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების პირობების დანერგვას, დასაქმებული პირებისათვის სტანდარტების შესაბამისად შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნას, კუთვნილი ტექნიკის ექსპლუატაციისათვის უსაფრთხოების ზომების შემუშავება და მათი რეალიზაციის გზების დანერგვა, ინსტრუქტაჟების შემუშავებასა და ტრენინგის/სწავლების/ინსტრუქტაჟების ორგანიზება/ჩატარება სამუშაო ადგილებზე შრომის დაცვის მიზნით და ა.შ. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფის წესი, რომლის შესაბამისადაც, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით შესყიდვების მენეჯერი დირექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის დაწყებამდე, მასალა ნედლეული ინახება მისთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. მატერიალურ რესურსების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროცესი ხორციელდება დაწესებულების დადგენილი წესის შესაბამისად. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი. დაწესებულება იყენებს ელექტრონული სერვისების მართვის სისტემას, რომელშიც გაერთიანებულია სასწავლო პროცესის მართვის სერვისი. სასწავლო პროცესის სერვისში გათვალისწინებულია კოლეჯის პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების რეესტრი. IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირების ფასდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის №65 ბრძანებით (ცვლილება: 2025 წლის 4 აპრილის №28 ბრძანებით) დამტკიცებული „IT რისკების მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის რისკების მართვას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, IT ინფრასტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს, კოლეჯის ადმინისტრაციულ საქმიანობასა და საგანმანათლებლო პროცესში მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენებას. დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი,

პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლისა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) და IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგებისა და შემდეგ მათზე რეაგირების შესახებ. დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კერძოდ, პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის სტრატეგიული და 2025 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისთვის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის და ამ ხარჯების კოლეჯის ბიუჯეტში გათვალისწინების საკითხი. დამტკიცებული ბიუჯეტის შესწავლით, დაწესებულების თვითშეფასების დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტების და დაწესებულების დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, დგება შესყიდვების წლიური გეგმა და მომდევნო წლის ბიუჯეტი, რითაც უზრუნველყოფილია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების განხორციელება. პსდ-ს მენეჯმენტის განმარტებით, უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში მიღებული რესურსებით. პსდ-ს ხარჯები მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური გადასახადების, ისე მომსახურების, შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, კერძოდ, კოლეჯი ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წლის დასასრულს წარუდგინოს ფინანსური ანგარიშები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მეხილეობა“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მეხილეობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. თეორიული მეცადინეობების განსახორციელებლად კოლეჯს აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A გარემო, პრაქტიკული მეცადინეობები ხორციელდება პარტნიორ კომპანიებში, რომელთაც გააჩნიათ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, შესაბამისი რესურსი, აღჭურვილობა და გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტს. ვიზიტის ფარგლებში საქმის წარმოებისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა „მეხილეობა“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეხილეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები ოთხ კომპანიასთან: შპს „აგროკომი“, შპს „აგროქართლი“. ი/მ სოფო იმერლიშვილი, ფ/პ გოჩა სუხიტაშვილი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სასწავლო ბაზები და გავსაუბრებოდით შპს „აგროკომის“ წარმომადგენელს, რომელმაც გამოთქვა მზაობა კოლეჯთან თანამშრომლობის და პროფესიული სტუდენტების მომზადების პროცესში ჩართულობის, ასევე დავათვალიერეთ ი/მ სოფო იმერლიშვილის სასწავლო ბაზა და გავსაუბრეთ მათ წარმომადგენლობას. პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია

ყველა საჭირო ხელსაწყო ინვენტარით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს, ასევე სასწავლო ბაზები მზად არის დაუშვან სასწავლო ბაზებზე წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, გამოყონ მათთვის ინსტრუქტორი და უზრუნველყონ პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება და შეფასება. ასევე პროფესიულ სტუდენტს გადაუხადონ ხელფასი ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად. სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულების ნაწილი დასაქმებულია წარმოდგენილ ორგანიზაციებში, რაც საკმაოდ კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებში არ იყო გამიჯნული კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები. ექსპერტთა ჯგუფმა მისცა რეკომენდაცია, რომ თითოეულ ხელშეკრულებაში მითითებული ყოფილიყო თუ რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ამათუ იმ ობიექტზე. კოლეჯმა ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა ხელშეკრულებები, სადაც უკვე გათვალისწინებული იყო აღნიშნული რეკომენდაცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეხილეობა“ განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა (19 პროფესიული განათლების მასწავლებელი), მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მინიმუმ ორი მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. , საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მეხილეობა“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „მეხილეობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. თეორიული მეცადინეობების განსახორციელებლად კოლეჯს აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A გარემო, პრაქტიკული მეცადინეობები ხორციელდება პარტნიორ კომპანიებში, რომელთაც გააჩნიათ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, შესაბამისი რესურსი, აღჭურვილობა და გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტს. ვიზიტის ფარგლებში საქმის წარმოებისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა „მეხილეობა“ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეხილეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. კერძოდ, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები ოთხ კომპანიასთან: შპს „ აგროკომი“, შპს „ აგროქართლი“. ი/მ სოფო იმერლიშვილი, ფ/პ გოჩა სუხიტაშვილი. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სასწავლო ბაზები და გავსაუბრებოდით შპს „აგროკომის“ წარმომადგენელს, რომელმაც გამოთქვა მზაობა კოლეჯთან თანამშრომლობის და პროფესიული სტუდენტების მომზადების პროცესში ჩართულობის, ასევე დავათვალიერეთ ი/მ სოფო იმერლიშვილის სასწავლო ბაზა და გავსაუბრეთ მათ წარმომადგენლობას. პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია ყველა საჭირო ხელსაწყო ინვენტარით, რაც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს, ასევე სასწავლო ბაზები მზად არის დაუშვან სასწავლო ბაზებზე წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, გამოყონ მათთვის

ინსტრუქტორი და უზრუნველყოფი პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება და შეფასება. ასევე პროფესიულ სტუდენტს გადაუხადონ ხელფასი ხელშეკრულებაში მითითებული პირობების შესაბამისად. სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულების ნაწილი დასაქმებულია წარმოდგენილ ორგანიზაციებში, რაც საკმაოდ კარგ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებში არ იყო გამიჯნული კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგები. ექსპერტთა ჯგუფმა მისცა რეკომენდაცია, რომ თითოეულ ხელშეკრულებაში მითითებული ყოფილიყო თუ რომელი სწავლის შედეგები მიიღწევა პრაქტიკის ამათუ იმ ობიექტზე. კოლეჯმა ვიზიტის დასრულებამდე წარმოადგინა ხელშეკრულებები, სადაც უკვე გათვალისწინებული იყო აღნიშნული რეკომენდაცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა (15 პროფესიული განათლების მასწავლებელი), მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მინიმუმ ორი მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მეფუტკრეობა“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით „მეფუტკრეობა“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით. თეორიული მეცადინეობების განსახორციელებლად კოლეჯს აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A და B გარემოები, პრაქტიკული მეცადინეობები ხორციელდება პარტნიორ კომპანიებში, რომელთაც გააჩნიათ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსი, აღჭურვილობა და გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტს, რაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას იძლევა; ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია A და B გარემოები. რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემო კოლეჯს ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელების მიზნებისთვის როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილი სასწავლო სივრცე და პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მეფუტკრეობა“ განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მინიმუმ ორი მასწავლებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მეფუტკრეობა“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის 20 განმახორციელებელი, მათ შორის 2 დარგის სპეციალისტი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი

დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განხორციელების ფორმა კოოპერაციულია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა გათვალისწინებულია არა მხოლოდ კოლეჯში არსებული რესურსით, არამედ პარტნიორი კომპანიის პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსითაც, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამის თეორიული მეცადინეობების განსახორციელებლად კოლეჯს აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A გარემო, პრაქტიკული მეცადინეობების განსახორციელებლად შესაბამისად აღჭურვილი C გარემო, საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება პარტნიორ კომპანიებში, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი რესურსი, აღჭურვილობა და გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მითითებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პრაქტიკის ობიექტს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა (16 პროფესიული განათლების მასწავლებელი), მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მინიმუმ ორი მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის დარგობრივი კომპეტენციის გამომუშავებას. დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით, პარტნიორი კომპანიების: სამკერვალო „სომას“ და შპს „ლიდერის“ ჩართულობით, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დასვა კითხვა, სამოქმედო გეგმების შესრულებასა და ეფექტიანობის შეფასებაში, ექსპერტთა აზრით, რა ტიპის მტკიცებულებები ჩაითვლება დოკუმენტირებულ დასაბუთებად, სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმის ყველა ანგარიში არსებობს, მაგრამ მითითებულია მხოლოდ „შესრულდა/არ შესრულდა“, არ არის ნარატიული ანგარიში და ანალიზი, რაც დაეხმარებოდა დაწესებულებას პროგრესის დანახვასა და სამომავლო გეგმების დასახვაში. ამიტომ გაკეთდა განმავითარებელი რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი, ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, რამდენადაც დაწესებულებას იჯარის ვადა გასდის აგვისტოს ბოლოს, ხომ არ არსებობს რისკი, რაც შეაფერხებს ხელშეკრულების გაფორმებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ კოლეჯი დაფუძნებულია განათლების სამინისტროსა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, ორივე დამფუძნებლის ნების გამოხატულება

ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ უკვე არსებობს. საკითხი შეთანხმების ბოლო ეტაპზეა და ექსპერტების შეფასებით, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში რისკი არ იკვეთება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ორივე დამფუძნებელს უკვე მიმართეს წლის დასაწყისში. პროცესი გაჭიანურდა სამხარაულის ბიუროს ხარჯთაღრიცხვის მომზადების გამო. ამჟამად მთავრობის დადგენილების პროექტი უკვე მზად არის და პირველი მთავრობის სხდომისას უნდა მოხდეს მისი დამტკიცება.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა აღნიშნა, რომ 3.2.2.3. ინდიკატორის აღწერისას მითითებულია, რომ კურსდამთავრებულთა კითხვარში არ იყო კითხვა კურსდამთავრებულთა პროფესიის მიხედვით დასაქმების თაობაზე, როგორ იღებდნენ სრულ ინფორმაციას კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.

ექსპერტმა განმარტა, რომ შეფასებისას გაანალიზდა დამატებითი კვლევაც, რომელიც განხორციელდა უნარების სააგენტოს კითხვარის საფუძველზე. ექსპერტების რეკომენდაციის მიზანი იყო ინფორმაციის მიღების გზების გაუმჯობესება და დასაქმების მაჩვენებლების სრულყოფილად დანახვა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, კითხვით მიმართა კოლეჯის წარმომადგენელს: რატომ აქვს კოლეჯს მრავალი პრიორიტეტული პროგრამა გადატანილი მიღევად რეჟიმში, მაშინ როცა მას აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით მშენებლობის მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების განახლების პროცესის პარალელურად, კოლეჯი გეგმავს ახალი სტანდარტებით მოდიფიცირებული პროგრამების დამატებას. ამჟამად, მოქმედი პროგრამები მიღევად რეჟიმში რჩება მხოლოდ გარდამავალ ეტაპზე და არ დაიკარგება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა(ა)იპ კოლეჯი განთიადის ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9


წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯი განთიადს (ს/კ:217890192) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. ა(ა)იპ კოლეჯი განთიადს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 3)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ კოლეჯ განთიადში იჯარის ხელშეკრულების გაფორმების დასრულების და ინგლისურენოვანი ვებგვერდის არსებობის თაობაზე. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 4 სექტემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:20 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია



დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0731
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სახვითი ხელოვნების სპეციალისტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სახვით ხელოვნებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0213
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	133
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	163
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია რკინაბეტონის სამუშაოთა შესრულებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	10
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	119

პროგრამის სახელწოდება	საავტომობილო გზების მშენებლობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საავტომობილო გზების მშენებლობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების სპეციალისტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

პროგრამის სახელწოდება	შედულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	131
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

პროგრამის სახელწოდება	გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	75
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	107

ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მიღევად რეჟიმში.

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	27
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე დაფიქსირებული საერთო ფაქტობრივი რაოდენობის ფარგლებში)	0
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	0
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

პროგრამის სახელწოდება	საავტომობილო გზების მშენებლობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ისანი-სამგორი, ბესარიონ ჭიჭინაძის №10
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	22
